თემატური გეგმა

გეოგრაფია 11 კლასი

| | |
|---|---|
| **შესასწავლი თემა** | **გლობალიზაცია და გლობალური პრობლემები** |
| შესასწავლი მასალა | სახელმძღვანელო, რუკა, რვეული |
| სასწავლო შედეგი, რომელსაც გვინდა რომ მივაღწიოთ | მოსწავლეებმა შეძლონ გლობალიზაციის პროცესების სივრცე–დროითი ასპექტების დახასიათება, გლობალიზაციის პროცესის სოციალურ–კულტურულ ასპექტებზე მსჯელობა და გლობალური პრობლემების გადაჭრაში ლოკალურ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე შემუშავებული კოორდინირებული პოლიტიკის აუცილებლობის გაცნობიერება. |
| საკვანძო კითხვები | რა არის გლობალიზაცია? რა არის გლოსალიზაცია? როგორ დგინდება გლობალიზაციის ინდექსი? რა ურთიერთკავშირი არსებობს გლობალურ პრობლემებს შორის? რა როლი და მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ორგანიზაციებს გლობალურ სამყაროში? იმსჯელეთ გლობალიზაციის დადებით და უარყოფით მხარეებზე. |
| მკვიდრი წარმოდგენები | მოსწავლეებმა განასხვავებენ გლობალიზაციასა და გლოსალიზაციას, kof – ინდექსის კრიტერიუმებს და ამ კრიტერიუმით მოწინავე ქვეყნებს, შეძლებენ გლობალური პრობლემების კატეგორიზაციას პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური თვალსაზრისით და იმსჯელებენ მათ შორის ურთიერკავშირზე, გააცნობიერებენ საერთაშორისო ორგანიზაციების როლს გლობალური პრობლემების გადაწყვეტის პროცესში. |
| შეფასების კრიტერიუმები | განმავითარებელი შეფასება, განმსაზღვრელი შეფასება |
| შეფასების კრიტერიუმის მიღწევის ინდიკატორი | *პრობლემური კითხვების დასმა, არგუმენტირებული მსჯელობა, რუკის გამოყენება* |
| კომპლექსური დავალებები | საშინაო დავალების მიცემა, , ინფორმაციის მოძიება, საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბება |
| **შესასწავლი თემა** | **მსოფლიოს პოლიტიკური რუკა და გლობალური პრობლემები** |
| შესასწავლი მასალა | სახელმძღვანელო,რვეული, რუკა |
| სასწავლო შედეგი, რომელსაც გვინდა რომ მივაღწიოთ | მოსწავლეებმა შეძლონ პოლიტიკური ხასიათის გლობალურ პრობლემებზე და გლობალიზაციის პროცესის სივრცე–დროით ასპექტებზე მსჯელობა. |
| საკვანძო კითხვები | როგორ იქმნებოდა მსოფლიოს პოლიტიკური რუკა? რომელია პოლიტიკური ხასიათის გლობალური პრობლემა? რა ღონისძიებები ტარდება მსოფლიოს ქვეყნებში განიარაღებისა და მშვიდობის შენარჩუნებისათვის? რა არის ტერორიზმი? რომელი ტერორისტული ორგანიზაციები არსებობს? რა როლს ასრულებენ მსოფლიოს ლიდერი ქვეყნები გლობალურ სამყაროში? |
| მკვიდრი წარმოდგენები | მოსწავლეები გაანალიზებენ მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ჩამოყალიბების ისტორიას, განასხვავებენ და ჩამოთვლიან პოლიტიკური ხასიათის გლობალურ პრობლემებს, გააცნობიერებენ შეიარაღებაზე დახარჯული თანხების მასშტაბებს და ქვეყნების სამხედრო–პოლიტიკურ პოტენციალს, განიხილავენ ტერორისტულ აქტებს და მასთან დაკავშირებულ საფრთხეებს, დაადგენენ მიზეზ–შედეგობრივ კავშირებს ომების, |

| | |
|---|---|
| | კონფლიქტებისა და ტერორიზმის წარმოშობის, გამოვლენის ფორმებსა და სივრცობრივ თავისებურებებს შორის. დაახასიათებენ ტერორისტულ ორგანიზაციებს და მათი მოქმედების არეალებს. ჩამოაყალიბებენ კონფლიქტების მოგვარების საკუთარ მოსაზრებას. |
| **შეფასების კრიტერიუმები** | განმავითარებელი, განმსაზღვრელი შეფასება |
| **შეფასების კრიტერიუმის მიღწევის ინდიკატორი** | *საჭირო ინფორმაციის მოძიება და გაანალიზება, არგუმენტირებული მსჯელობა, რუკაზე მუშაობა.* |
| **კომპლექსური დავალებები** | საშინაო დავალების მიცემა, ინფორმაციის მოძიება |
| **შესასწავლი თემა** | **მსოფლიოს მოსახლეობა და გლობალური სოციალური პრობლემები** |
| **შესასწავლი მასალა** | სახელმძღვანელო, რუკა, სხვადასხვა ილუსტრაციები(დიაგრამები, ცხრილები,,,) |
| **სასწავლო შედეგი, რომელსაც გვინდა რომ მივაღწიოთ** | მოსწავლეებმა უნდა შეძლონ სოციალურ–ეკონომიკური ხასიათის გლობალური პრობლემების გაანალიზება და გლობალიზაციის პროცესის სოციალურ–კილტურულ ასპექტებზე მსჯელობა. |
| **საკვანძო კითხვები** | როგორ იცვლება მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობა? რა არის დემოგრაფიული ოპტიმუმი? რა არის ურბანიზაცია და გლობალური ქალაქი? როგორია მსოფლიოს ეთნომოზაიკა? რატომ წარმოიშობა ეთნიკური პრობლემები? რას ნიშნავს კულტურული იმპერიალიზმი? რას ნიშნავს კულტურული დიფუზია? რა ფაქტორები უწყობს ხელს სხვადასხვა დაავადების გაჩენა–გავრცელებას? რაზეა დამოკიდებული დაავადებების გეოგრაფია? |
| **მკვიდრი წარმოდგენები** | მოსწავლეები გააანალიზებენ მოსახლეობის მატების გამომწვევ მიზეზებს და იმსჯელებენ კულტურული და რელიგიური ფაქტორის ზეგავლენაზე.<br>განასხვავებენ მასტიმულირებელ და შემზღუდავ დემოგრაფიულ პოლიტიკას და აღნიშნავენ სათანადო ქვეყნებს პოლიტიკურ რუკაზე.<br>იმსჯელებენ ურბანიზაციის გამომწვევ მიზეზებზე და ამპროცესის დადებით და უარყოფით მხარეებზე.<br>განასხვავებენ, დაასახელებენ და განსაზღვრავენ გლობალურ ქალაქებს პოლიტიკურ რუკაზე,<br>იმსჯელებენ გლობალური ქალაქების როლსა და მნიშვნელობაზე.<br>გაეცნობიან კულტურული დიფუზიის სხვადასხვა გამოვლინებას მსოფლიოში.<br>დაადგენენ, როგორია დაავადებათა გავრცელების გეოგრაფია.<br>განიხილავენ თანამედროვეობის ეთნიკურ კონფლიქტებს. |
| **შეფასების კრიტერიუმები** | განმავითარებელი , განმსაზღვრელი |
| **შეფასების კრიტერიუმის მიღწევის ინდიკატორი** | *ფაქტების და მოვლენების თანმიმდევრულობა, , არგუმენტირებული მსჯელობა, რუკაზე მუშაობა.* |
| **კომპლექსური დავალებები** | პრეზენტაცია, სვეტოვანი დიაგრამის აგება, კონტურულ რუკაზე მუშაობა. |